

# გიორგი გაგლოევი



ახალი ისტორიული მინიატურები



ISBN 978-9941-0-8309-9

გამომცემლობა „ლიტერა“  
1400 გორი, ჯორბენაძის №28  
ტირაჟი 50 ეგზემპლარი

# შუა საუკუნის ევროპული სურნელი

ოჰ, ჩემო კარგო მკითხველო! ალბათ შენც ჩემსავით ოდესმე გინატრია ეს ყველასათვის სანატრელი და საოცნებო, ბებერი, სათნო ევროპა თავისი კეთილშობილი, ცისფერთვალეზა რაინდებით, რომლებიც ყოველ წუთს მზად იყვნენ მშვენიერი, ქერაკულულიანი, ნაზი და ჰაეროვანი ქალბატონის გულისთვის (ეგ არაფერია, თუ ეს ქალბატონი თუთიის თეთრი ფხვნილით სახეზე მუწუკების დასაფარად სქლად, ნიღაბით თვალშისაცემად იყო შედებილი) ენითაღუწერელი გმრობა ჩაედინა; ევროპა, თავისი მხურვალე რელიგიური ექსტაზით გაჟღენთილი სისხლისმღვრელი ჯვაროსნული ომებით; რომანტიკულ ქონგურიანი სრა-სასახლეებითა და მუდამ მომდიმარი გალანტური პარიზელი მუშკეტერებით, რომლებიც ასე აგდებთა და თავგამოდებით წმენდნენ თავიანთი ფართოფარფლებიანი ქუდებზე დამაგრებულ ფაფუკი ბუმბულებით დიდებული პარიზის მოკირწყლულ ქუჩებს; ევროპა, თავისი ბრწყინვალე და დიდებული სამეფო ცერემონიებითა და სამოთხისებური ვერსალის ედემის სადარ სურნელოვანი ბაღებით - ფეერიული სილამაზით გაჟღენთილს, დაბადებული ს დიუმა-მამის ამოუწურავი ინტრიგებითა და ფათერაკებით გაჟღენთილი ლამაზი რომანებიდან, ანდა ფსევდო ისტორიული სანატრელი და საოცნებო ევროპული თუ დიდ ბიუჯეტისანი ჰოლივუდური ფილმებით.

ევევ, ჩემო მკითხველო! შენ ძალზედ გაგიმართლდა, რომ იცოდე იმ დროს, რომ არ დაიბადე!

...დაივიწყე ის ყველაფერი ლამაზი და მომხიბვლელი, რაც აქამდე ამგვარ რომანტიკულ ფილმებში გინახია, ან ზაფხულის უძილო ღამეებში სასთუმალზე წამოწოლილს სქელტანიან რომანებში წაგიკითხავს... ნამდვილი, მწარე სიმართლე უფრო პროზაულია და ძალზედ უშნოდაც გამოიყურებოდა...

დავიწყეთ იქიდან, რომ ცნება პირადი ჰიგიენა ევროპაში XIX საუკუნის შუახანებამდე საერთოდ არ არსებობდა. ამიტომაც თვალწარმტაცი ევროპული ქალაქების სურნელს წამლავდა არა მარტო მეტნაკლებად კანონმორჩილ მოქალაქეთა მიერ ოღრო-ჩოღრო ქუჩაში დაყრილი განავლის ყავისფერი გორები... მრავალრიცხოვანი და საკმაოდ ხმაურიანი ყასბები პირდაპირ ქუჩაში კლავდნენ აღმუვლებულ-აწივლებულ საქონელს და იქვე ჩეხავდნენ კიდევ აყროლებულ ხის დიდ გაბინძურებულ მორებზე ნაჭრებად, ხოლო იქვე გვერდზე, სისხლით ატალახებულ ქუჩაზე უდარდელად ყრიდნენ ღვინის გაზებითა და განავლის ამიაკის სუნით

დაბერილ გასისხლიანებულ ნაწლავებს. თავისი წვლილი „ქალაქის სურნელოვან ბუკეტის“ შექმნაში შეჰქონდათ ქუჩებში ჯოგებად მოთარეშე ღორების თუ ცხვრების კოლტებსაც; აქ, ათწლეულების განმავლობაში არავინ და არაფერს არ წმენდდა, და შედეგად ქუჩები ივსებოდა აყროლებულ-გაქვავებული განავლის მასითა და საქონლის გახრწნილი ტყავ-ნაწლავებით, რომლებსაც ქუჩაში მორბენალი აყეფებული ძაღლებისა და ღრუტუნით დაუღლეი ღორების ხროვაც კი არ ჭამდა.

ან კიდევ; გვიანი შუასაუკუნეების პერიოდში სხეულის ჰიგიენური მოვლა ცოდვად ითვლებოდა - ქრისტიანობის მიღების შემდეგ სხეულის დაბანვა არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ ასე შეიძლებოდა სხეულიდან ჩამოგერეცხა ნაკურთხი წყალი, რომელიც „მოგეცხო“ მონათვლის დროს. შედეგად კი, ხალხი უკეთეს შემთხვევაში წლობით არ იბანდა ტანს, უარეს შემთხვევაში კი - საერთოდ.

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ „ველურმა“ რუსმა ელჩებმა, რომლებიც საფრანგეთის მეფის, ლუდოვიკო XIV კარს ეწვივნენ, დაწერეს, რომ მისი აღმატებულება “ყარს, როგორც გარეული მხეცი”.

რუსებს მთელს ევროპაში გარყვნილებად და გადახრების მქონედ თვლიდნენ იმისათვის, რომ თვეში ერთხელ დადიოდნენ აბანოში, ან უფრო მეტჯერ—ეს სიხშირე ამაზრზენი იყო....

სხვათა შორის, ჭუჭყი დასავლეთ ევროპაში წმინდანობის ერთგვარ ნიშნადაც კი ითვლებოდა, ხოლო გატურტიანებულ კანზე მოფუთფუთე დასუქებულ ტილებს იმდროინდელი ხალხი „ღვთიურ მარგალიტებს“ უწოდებდა და წმინდანობის დამადასტურებელ ერთ-ერთ მთავარ ნიშნადაც სთვლიდა.

წმინდა თომას მიმდევრები მზად იყვნენ ედიდებინათ მისი ჭუჭყი და ტილები, რომლებიც სულ თან ახლდა. ერთმენეთზე ტილების პოვნა (როგორც ამას მაიმუნები აკეთებენ) — ნიშნავდა საკუთარი კეთილგანწყობის დემონსტრირებას.

რომეო და ჯულიეტას რომანტიკულ დროში ყველაზე პოპულარული იყო შემდეგი საქმე: შეყვარებული ყმაწვილები აგროვებდნენ თავიანთ რწყილებს და შემდეგ მიუსვამდნენ ხოლმე თავის გულის ქალბატონს, რომ “სისხლი რწყილში არეულიყო”.

ისე კი შუა საუკუნეების დროინდელი ტილები აქტიურადაც მონაწილეობდნენ პოლიტიკაში - დათოვლილი შვედეთის პატრიარქალურ ქალაქ გუნდერბურგში ჩვეულებრივი ბიოლოგიური ტილი საკუთარი პერსონით მონაწილეობდა ქალაქის მერის საპატიო თანამდებობის არჩევნებში; ამ მაღალი პოლიტიკური პოსტის დაკავების მსურველებს

აუცილებლად დიდი, ფუმფულა წვერი უნდა ჰქონოდათ (გაბერილ-გაფუყული სანტა კლაუსი წარმოიდგინეთ ჩვეულებრივ ყავისფერი ხავერდის ტანსაცმელში); არჩევნები კი შემდეგნაირად მიმდინარეობდა: მერობის კანდიდატები სხდებოდნენ მუხის ძველ მამა-პაპისეულ დიდ, მრგვალი მაგიდის გარშემო და გრძელ, გაფანჩულ წვერს მაგიდაზე სდებდნენ. შემდეგ სპეციალურად დანიშნული ჩინოვნიკი მაგიდის შუაგულში აგდებდა ტილს. არჩეულ მერად ის პერსონა ითვლებოდა, ვის წვერშიც ეს ტილი პირველი შეძვრებოდა.

შუა საუკუნეების ევროპის ქალაქებს კანალიზაცია არ ჰქონდა. სამაგიეროდ ჰქონდა საქალაქო გალავანი და მის გარშემო გათხრილი,



წყლით ავსებული მტრისაგან დამცავი თხრილი. აი, ეს თხრილი ასრულებდა „კანალიზაციის“ ფუნქციას: გალავნის კედლებიდან მასში ყოველწუთიერად ყრიდნენ განავლისა და ნაგვის გროვებს. მიუხედავად ამგვარი სანიტარიზაციისა, ქალაქის ბნელი ოღრო-ჩოღრო ქუჩები იძირებოდა ტალახსა და ფეკალიებში, ისე რომ წვიმიანობის დროს არავითარი საშუალება არ არსებობდა, რომ ქუჩაში მშვიდობიანად გაგეარა. აი ამ დროს გაჩნდა პირველად გერმანულ პროვინციალურ ქალაქებში ხის მაღალი ოჩოფეხები, რომელიც მოქალაქის „საზაფხულო ფესსაცმელს“ წარმოადგენდა და ურომლისოდაც ქუჩაში გასვლა სახიფათოც კი იყო.

აქოთებულ ქუჩებს იმდროისათვის ერთადერთი ბუნებრივი საშუალება რეცხავდა და წმენდა - წვიმა, რომელიც მიუხედავად თავისი მნიშვნელოვანი სანიტარული ფუნქციისა, ხალხის მიერ მაინც ღვთის სასჯელად მიიჩნეოდა.

რატომ?

წვიმას თვალისგან მიფარებულ-დამალული ადგილებიდან გამოჰქონდა თვეობით დაგროვილი მთელი სიბინძურე და ამიტომაც ქუჩებზე წვიმის დროს ბინძური წყლის მთელი ნაკადები ზემო ქუჩებიდან ქვემო ქუჩებისაკენ, მოედნისაკენ მოედინებოდა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ნამდვილ მდინარეებს ქმნიდა და მასში არც თუ იშვიათად იხრჩობოდნენ გაუფრთხილებელი მოქალაქეები. და ეს ყველაფერი, ჩემო მკითხველო ხდებოდა ძველ მხიარულ პარიზსა თუ პირქუშ ლონდონში, გაბღენძილ მადრიდსა თუ რომანტიკულ ნიურნბერგში. ყველაზე განიერი ქუჩა მაშინდელ დროში 6-7 მეტრის სიგანის იყო; მაგრამ ამგვარი „პროსპექტებიც“ კი მაშინდელ ქალაქებში იშვიათობას წარმოადგენდა. როგორც წესი, მაშინდელი ქუჩები სიგანეში დაახლოებით ორ მეტრამდე იყო. იყო ერთმეტრიანი სიგანის ქუჩებიც, რომლებიც უფრო ჩაბნელებულ ლაბირინთებს წარმოადგენდნენ. ამიტომ იყო, რომ XV საუკუნის დასასრულისათვის გერმანიის ქალაქ როიტლინგის მოსახლეობა იმპერატორ ფრიდრიხ III (1440-1493წწ) სთხოვდა, არ ჩასულიყო მათ ქალაქში, რადგან ეს საკმაოდ სახიფათო იყო. გაფრთხილების მიუხედავად იმპერატორმა გარისკა და კინადამ ცხენიანად დაიღრჩო ქალაქის ტალახიან ქუჩებში.

IV-V საუკუნეებიდან დასავლეთ ევროპაში ქრისტიანობის შემოსვლასთან დაკავშირებით, ანტიკური პერიოდის ტუალეტები (მიუხედავად, რომ იმპერატორ დიოკლეტიანეს დროიდან იგი ფასიანი იყო) და საკანალიზაციო სისტემა, როგორც წარმართული ყოფის ნაწილი, დავიწყებას ეძლევა. სამაგიეროდ ევროპა ჩასარეცხი ტუალეტების ნაცვლად

საქმიანი სახით ღამის ქოთნებისაკენ ტრიალდება, ხოლო დავიწყებული კანალიზაციის როლს კი ქალაქის მიწით დატკეპნილ ქუჩებში სახელდახელოდ გაჭრილი არხები ასრულებენ, სადაც სულის შემძვრელი აქოთებულ-აქაფებული მასა დღე და ღამ მდორედ მიედინებოდა. დავიწყეს რა ანტიკური ცივილიზაციის ყოფითი სიკეთეები, ხალხი ახლა ისაქმებდა იქ, სადაც მოუწევდათ; მაგალითად გამოუწვავ აგურისაგან აშენებულ სახლის კუთხეში, მოედანზე სახელდახელოდ გამართულ ბალაგანის სცენის ქვეშ, რატუმის უკან, ანდა ახმაურებულ ბაზარზე გამოყვანილ გასაყიდ საქონელს ამოფარებულს.

ცნობილი ფაქტია, რომ საფრანგეთში ბევრი, მართლაც დიდებული სამეფო სასახლე შენდებოდა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა, რამეთუ ბრწყინვალე საფრანგეთის არანაკლებ ბრწყინვალე სამეფო კარი ხშირად გადადიოდა ერთი სასახლიდან მეორეში.

რატომ?

ძველში ფაქტიურად ვეღარ სუნთქავდა ადამიანი - ღამის ღამაში, დეკორატიული, ვნებიანად მომღიმარე ანგელოზებითა თუ ფანტასტიკური დრაკონებით შემკული თეთრი ან ცისფერი მაისონის ფაიფურის ქოთნები დღე და ღამე იდგნენ საწოლის ქვეშ თავისი შიგთავსით, რომელიც მხოლოდ საღამო ხანს იცლებოდა.

ერთ-ერთ ყველაზე დაბინძურებულ ქალაქს ამ დროს რომანტიკული პარიზი წარმოადგენდა. 1270 წელს გამოცემულ კანონში ნათქვამი იყო, რომ „პარიზის მოქალაქეებს ეკრძალებათ სახლის ფანჯრებიდან ნარეცხი წყლისა და სიბინძურის გადმოქცევა ქუჩებში, რათა ამით არ დასვარონ გამველები“. ურჩებს ჯარიმის გადახდა უწევდათ. მაგრამ ამ კანონს დიდად არც არავინ იცავდა 100 წლის შემდეგაც კი; მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო IX-ეს (XIII ს.) პარიზის ატალახებულ ქუჩაში გავლისას თავზე განავლით სავსე ქოთანს გადმოასხეს ფანჯრიდან, პარიზელებს უფლება კი ისევ დაუტოვეს ფანჯრებიდან სიბინძურის გადმოსხმის, ოღონდ ახლა სამჯერ წინასწარ უნდა დაეყვირათ: „ფრთხილად! ვასხავ!“ აი, ამ დროს შემოდის ევროპის მცხოვრებთა ცხოვრებაში ფართოფარფლებიანი ქუდები. მამაკაცებმაც რვერანსის დროს ამ ქუდების მოხდაც იმიტომ ისწავლეს, რომ მოსაუბრისათვის ცხვირ-პირში არ მიეფარებინათ ნაგვის სუნად აქოთებული ქუდი.

აქედან გამომდინარე აი როგორ გამოიყურებოდა XIV-XV საუკუნეების ტრადიციული ფრანგი რაინდი არქეოლოგების აზრით: საშუალო სიმაღლის, ნაყვავილარი, ჭუჭყიანი და გაუპარსავი სახე, დაუბანელ, ქონისაგან გაპოხილ თმას მუზარადი უფარავს. ტანსაცმლის ნაკვეცბში

რწყილები და ტილები ბუდობენ. რაინდი რა თქმა უნდა მოუვლელ და დაჭიანებულ კბილებს არ უვლის და შესაბამის სურნელსაც აფრქვევს. ამ ყველაფერს კი დაუმატეთ ისიც, რომ დეზინფექციის მიზნით, ყოველი ჭამის შემდეგ მოსახლეობა მკავე ლუდისა და ნიერის კომბინაცია აყოლებდა.



საფრანგეთის სამეფო სასახლეებში: ღვთაებრივ ლუვრში თუ ოქროსფერ ვერსალში ტუალეტი საერთოდ არ არსებობდა; სამაგიეროდ კუჭ-ნაწლავის ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ისაქმებდნენ სასახლის განიერი კიბის ქვეშ, მრავალრიცხოვან დეკორატიულ ბალკონებზე, ანდა კიდევ უფრო მრავალრიცხოვან, კედლებში გამოჭრილ ნიშებში, ანდა მათთვის ღამის პირ განიერი ქოთნები მოჭკონდათ, რომლის შიგთავსსაც სასახლის უკანა ეზოში აქცევდნენ ამრეზილი მოსამსახურეები. ამ დროს სასახლის შიდა კედლებზე აუცილებლად კიდებდნენ ლიონის მძიმე და სქელ ბარხატის ანდა ნიდერლანდურ დეკორატიული შალის მძიმე ფარდებს, კორიდორებში ჭრიდნენ ყრუ ნიშებს, გარეთა კედლებზე აშენებდნენ ლამაზ, მომხიბლავ, პატარა მრგვალ მინაშენებს, რომელთაც იატაკი დამრეცი ჭკონდათ; და ეს ყველაფერი, გასაგებია, ტუალეტის ფუნქციას ასრულებდა. ამ დროს ტუალეტის ათქვეფილი მასა ჯერ ციხე-



დარბაზის გარეთა კედელზე წურწურით ჩამოდიოდა, შემდეგ იმ ბორცვზე გათხრილ არხში გაედინებოდა, რომელზეც ეს ციხე-დარბაზი იდგა და შემდეგ ბორცვის ძირში იკარგებოდა.



თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა თუ პრიმიტიული ტუალეტის მსგავს ოთახს დააპროექტებდნენ სასახლეში, არა? არა, რა თქმა უნდა, რადგანაც ამის მსგავსი აზრი მაშინ თავში არც არავის მოსდიოდა, რამეთუ ყველაზე პოპულარულ დაავადებას მაშინდელ დროში წარმოადგენდა... დიარეა (ფაღარატი), დაუნდობელი და უღმობელი, ვერაგი და მაცდური სენი, რომელის ღმერთმა არ იცის, მუცელში როდის, ან სად მოგივლიდა. ამავე მიზეზმა თავისი კვალი დაატყო მაშინდელ მოდასაც (XII-XV სს): მამაკაცების შარვალ-პანტალონები ვერტიკალური, ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილი მრავალფენიანი ლენტებისაგან შედგება, თითოეული ფენისათვის ცალ-ცალკე, ხოლო უბეში ერთიანი ტილო იყო ამოკრული, რომელიც წელზე ქამრით მაგრდებოდა. ქალების ჩასაცმელი კი განიერი, რამდენიმე პირიანი გრძელი ქვედა ბოლოებისაგან შედგება.

ჩასარეცხ მოწყობილობიანი ტუალეტის პირველი პროექტი, რომელიც

საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-ისთვის იყო განკუთვნილი, დიდ ლეონარდო და ვინჩის ეკუთვნის, მაგრამ ეს პროექტი, ისევე როგორც ამ გენიის ბევრი სხვა პროექტი, მხოლოდ ქალაქში პროექტებადვე დარჩა. სხვათა შორის სწორედ ფრანსუა I-მა შემოიღო წესად სამეფო სტუმართა მიღება ღამის ქოთანზე ჯდომის დროს.

დაუბანელი ფეხების ანდა პირიდან გამომავალი სუნი, ეს ჯერ კიდევ არააფერია. იყო ამაზე უარესიც. იმ დროში ლითონის ჯავშანში ჩასმული რაინდები მთელი დღე-ღამე იყვნენ მასში გამოკრულები და მიუხედავად დიდი სურვილისა, დამხმარის გარეშე მისი გახდა არ შეეძლოთ. ჯავშნის გახდა ან ჩაცმა რთული პროცედურა იყო და იგი ერთ საათს, ან მეტ ხანს გრძელდებოდა. ამიტომაც, რა თქმა უნდა, რომ კუჭის პრობლემებს კეთილშობილი რაინდი ძალზე ხშირად ისაქმებდა... პირდაპირ ჯავშანში.

ისტორიკოსებს თავის დროზე ძალზედ აფიქრებდათ ის ფაქტი, თუ ასე ადვილად როგორ პოულობდნენ მესამე ჯვაროსნული ომის მონაწილე სალაჰ ად დინის თავზე ხელაღებული ბაშიბუზუკები ჯვაროსან რაინდთა სამხედრო ბანაკებს? პასუხი ძალზედ მალე გაიცა - აყროლებული სუნით! ჯვაროსანი მეომრები კვირაობით არ იხდიდნენ ჯავშანს და ახლა დანარჩენი თქვენ წარმოიდგინეთ.

რადგანაც დამახასიათებელმა სურნელმა მთლად გაჟღინთა თავმომწონე ევროპა, სრულიად ნათელია, რომ საზოგადოებისათვის ყველაზე მოთხოვნად საქონლად იქცა ინდური ნელსაცხებლები და სუნამო. სუნამო, ნამდვილი ევროპული გამოგონება, გაჩნდა როგორც აბანოების არარსებობის საწინააღმდეგო რეაქცია. საქვეყნოდ ცნობილი ფრანგული პარფიუმერიის პირველადი დანიშნულება ერთადერთი იყო - წლობით დაუბანელი ტანის მყრალი სუნის შენიღბვა.

მეფე ფილიპე-ავგუსტმა (1180-1223 წწ) - ლუვრის დამაარსებელმა, ერთხელ გონებაც კი დაკარგა ქუჩაში მყრალი სუნის გამო; იქვე პარიზში, ერთ-ერთი მეფისწული ცხენიდან გადმოვარდა და ქუჩაში არსებულ წუნწუხში ჩაიხრჩო. გვიან ხანაში, თვით XVIII საუკუნეშიც კი ნისლიან ლონდონში გოთიკური პარლამენტის შენობაში არასოდეს არ აღებდნენ ფანჯრებს, რადგან მდინარე ტემზიდან მომავალი სუნი ძალზედ აუტანელი იყო. და აი, ფილიპე-ავგუსტმა გადაწყვიტა, შებრძოლებოდა ამ საშინელ სურნელს მის ხელთ არსებული ერთადერთი საშუალებით: 1190 წელს მან გამოსცა წამახალისებელი წესები, რომლითაც სავაჭრო პრივილეგიები ენიჭებოდათ, მათ ვინც ამზადებდა და ყიდდა სუნამოთა სხვადასხვა სახეობას, პუდრას, ტუჩსაცხს, კანის გამათეთრებელ და გამწმენდ კრემებს, საპნებს, სურნელოვან წყალს და ხელთათმანებს. მაგრამ ხალხი ისე იყო

მიჩვეული ბუნებრივ სურნელს, რომ რამდენიმე სამეფო ედიქტის გამოცემაც კი დასჭირდა, ხალხს, რომ ეს პროდუქტი მინიმალურად მაინც რომ გამოეყენებინა.

XIII საუკუნიდან იწყება საპნის წარმოება ევროპაში. მანამდე კი ევროპა საპონს იცნობდა, როგორც ეგზოტიკურ ნელსაცხებს: რაინდებს, რომლების იბრძოდნენ ჯვაროსნულ ომებში არაბულ სამყაროსთან, ხანდახან თავის ქალბატონებისათვის ჩამოქონდათ სასიამოვნო სურნელის საპნის ბურთულები, რომლებსაც ქალბატონები ხელით ან გულში ჩადებულნი დაატარებდნენ. ევროპაში საპონს აწარმოებდნენ ვენეციასა და მარსელში და უშვებდნენ მრგვალი, მოგრძო ჯოხების სახით, რომელზეც ფაბრიკის სახელწოდება იყო ამოტვიფრული. ამ სახით მიეწოდებოდათ საპნები მაღაზიებს და გამყიდველი ამ „ჯოხებიდან“ იმდენს უჭრიდა მყიდველს, რამდენიც მას სურდა, მაგრამ ესეც ძალზედ ბევრი ღირდა და დიდი მოთხოვნილებაც არ იყო მასზე. საპნით დაბანვა და მისით გარეცხვა ძვირფასი საქონლის უაზროდ დახარჯვას ნიშნავდა.

მე-XIII საუკუნის შუახანებიდან ქალაქებში ისევ იწყებს მოქმედებას საზოგადოებრივი აბანოები, რომლებიც I საუკუნიდან დახურული იყო როგორც წარმართული დაწესებულება. წყალს ცეცხლზე აცხელებდნენ, მაგრამ ამას ორ პრობლემამდე მივყავდით; ჯერ ერთი, ცეცხლს შეეძლო დიდი ხანძრის გამოწვევა ქალაქში, სადაც შენობები ძირითადად ხისა იყო; და მეორეც, ტყეების ფართობი თანდათან მცირდება, ამიტომ შეუძლებელია და შესაბამისად წყლის გასაცხელებლად შეშაზე დახარჯული თანხა ძალზედ ძვირი ჯდება, რამაც აბანოთა დიდი უმრავლესობის დახურვა გამოიწვია. 1300-იანი წლების შუახანებში მხოლოდ ძალზედ მდიდარ ადამიანს შეეძლო თავის თავისთვის ნება დაერთო, რომ ზამთარში წყალი დასაბანად გაეცხელებინა და ესეც ძალზედ იშვიათად. ეს მეტად ძვირ ფუფუნებას წარმოადგენდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ისევ იძულებული იყო ჭუჭყიანს ეარა. ისე კი, ხშირ შემთხვევაში აბაზანად დიდი კასრები გამოიყენებოდა, სადაც მთელი ოჯახის წევრობა ერთი და იგივე წყალში რიგრიგობით ბანაობდა.

ევროპაში არომატიზირებული საპონის წარმოება მხოლოდ XV საუკუნიდან დაიწყო. გაჩნდა ქალბატონთა საპონი ვარდის ან ლავანდის დამატარებელი არომატი. არისტოკრატთა შორის გაჩნდა მოდა რომ ტუალეტის და ჭამის შემდეგ ხელები დაებანათ. მდიდარ ოჯახებში იწყებენ ტანსაცმლის საპნით გარეცხვას. სამწუხაროდ ყველა ეს სიახლე ტანის და სხეულის მხოლოდ ღია ნაწილებს ეხებოდათ. დახურულ ნაწილზე კი ლაპარაკიც არ არის! ამასთან დაკავშირებით ასეთი მაგალითის მოყვანა

შეიძლება: 1800 წელს ლონდონში ერთ-ერთ წვეულებაზე რუსეთის ელჩის ბაგრატიონის შეკითხვაზე მაგიდის წვერთა ხელების უსუფთაობის შესახებ, ლონდონის ულამაზესმა ქალბატონმა მერი მონტეგიუმ ასეთი პასუხი გასცა:

და თქვენ ამას ჭუჭყს უწოდებთ? მაშინ რას იტყვოდით ჩვენი ფეხები რომ განახათ?

სწორედ ამ დროსვე ინგლისის ცნობილი ჰერცოგი ნორფოლკი უარს ამბობდა ბანაობაზე რელიგიური თვალსაზრისით. შედეგად მისი სხეული დაიფარა ჩირქოვანი გამონაყარით. კეთილმა მსახურებმა ასეთი გეგმა მოიფიქრეს: როდესაც მისი ბრწყინვალემა ძალიან დათვრებოდა (რაც ხშირად ხდებოდა) მაშინლა აბანავებდნენ.

როგორ არ უნდა გავიხსენოთ აქ ესპანეთის დიდებული დედოფალი, რეკონკისტის გმირი იზაბელა კასტილიელი, რომელიც სიამაყით ამბობდა, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ორჯერ იბანავა - ერთხელ დაბადებისას, მეორედ კი ქორწილის დღეს. “ნამდვილმა ფრანგმა ცხოვრებაში ორჯერ უნდა დაიბანოს ტანი, დაბადების და სიკვდილის შემდეგ” - ეს საფრანგეთის მეფის, ლუდოვიკო XIV-ს (1638-1715წწ.) სიტყვებია. ამიტომაც იყო, რომ დასავლეთ ევროპის მეფეთა შვილების ხშირი სიკვდილიანობის მიზეზი ტილები იყო. პაპი კლიმენტ V დიხენტერიისგან გარდაიცვალა, ხოლო პაპი კლიმენტ VII და საფრანგეთის მეფე ფილიპ II - მუნისგან.

სიკვდილიანობის მაღალმა დონემ და სიხშირემ აქოთებულ ევროპაში სიკვდილის მიმართ დამოკიდებულება ფსევდო მეცნიერულ-ესთეტიკური დამოკიდებულებით შეცვალა - მრავალრიცხოვანი ექიმბაშები უკვდავების ელექსირის მისაღებად გვამებს ანაწევრებდნენ და ხარშავდნენ. XVII საუკუნეში დიდგვაროვანი მანდილოსნები ახლობელი ადამიანის თავის ქალას ლიონის აბრეშუმის ლენტებითა და სამკაულებით რთავდა; გაიხსენეთ რენე დეკარტის თავის ქალა, რომელიც შვედეთის დედოფალ ქრისტინას თავის საძინებელში, მაგიდაზე ედო. ალქიმიკოსებისათვის კი სანთლის შანდლად გადაკეთებული თავის ქალა მათი სამეცნიერო კაბინეტების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ამიტომ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ პარიზში დიდი ზარ-ზეიმით 1789 წლის აგვისტოს მიღებული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ და 1793 წლის საფრანგეთის კონსტიტუცია ადამიანის ტყავის გარეკანშია გამოკრული. („გზა“, №41, 2010 წ.)

ბინძური სუნის წინააღმდეგ კეთილშობილი ბრძოლა გააგრძელა ლუდოვიკო XIV-მ, მეფე-მზემ (1643-1715 წწ). ამ დიდებული მეფის ყოველი დილა იწყებოდა ჩაცმის ხანგრძლივი და დაბანვის ხანმოკლე რიტუალით: მას მთავრად ეწოდნენ სამეფო ოქროსფერი ღიღილოებით შემკულ ფაიფურის

დრმა ლარნაკს, რომლის ძირში ცოტაოდენი წყალი ესხა. მეფე ნაზად ჩაასველებდა ხოლმე მასში თითის წვერებს და ძალზე სათუთად შეეხებოდა მით საფეთქლებს. ამით დაბანვის პროცედურა მთავრდებოდა. ერთხელ მან გაიღვიძა რა ცუდ ხასიათზე (ეს მისი დამახასიათებელი მდგომარეობა იყო, რამეთუ როგორც ცნობილია მეფე უძილობით იტანჯებოდა რწყილების გამო) მან ბრძანება გასცა, რომ სასახლის კარზე ყველას სუნამო ეტარებინა. საქმე ეხებოდა ედიქტს, რომელშიც ნაბრძანები იყო, რომ ის ვინც სასახლეში მოდიოდა აუცილებლად დიდი რაოდენობის სუნამო უნდა დაესხა, რომ ამით ცოტა გაგანტულიყო სტუმართა ტანიდან და პირიდან მომავალი საზარელი სურნელი. ერთადერთი რასაც რეგულარულად ასრულებდა საფრანგეთის მეფე-მზე, ეს იყო ხელების კონიაკით გადაბანვა. ერთხელ დილაადრიან მეფესთან საძინებელში ესპანეთის ელჩი შესულა და ...იქ დატრიალებული სუნის გამო თვალები აეწვა. ენის ბორძიკით ელჩმა აუდიენციის ვერსალის ბაღში გამართვა ითხოვა და დამდულრებულივით გავარდა ბაღში, რათა სუფთა ჰაერი ჩაესუნთქა. ბაღში დამდგარი სუნის გამო კი ელჩს გული წაუვიდა - აქ გაშენებული მრავალი დეკორატიული ბუჩქი სინამდვილეში ბუნებრივ ტუალეტს წარმოადგენდა.

ლუდოვიკო XIV-ს დროს, რომლის ცხოვრების წესიც კარგად არის ნაცნობი ჰერცოგ სენ სიმონის მემუარების წყალობით, ვერსალის სასახლის კარის ცნობილი ქალბატონები, უშუალოდ საუბრის დროს (ზოგჯერ კაპელაში ან ტამარში მესის დროსაც კი), დგებოდნენ და ვითომც აქ არაფერი რომელიმე კუთხეში ისაქმებდნენ.

შუასაუკუნეების ევროპის სიბინძურის შესახებ ცნობებს იმდროინდელი სპარსეთის ელჩის მოგონებებშიც ვხვდებით. ერთხელ ის საფრანგეთის მეფის სასახლეში იყო მიწვეული ორი დღით, თუმცა დელეგაცია, ელჩმა მოიძო რა მიზეზად სასწრაფო საქმეები, იმ საღამოსვე გაეცალა სასახლეს. ეს მოხდა მას მერე, რაც ელჩმა საძინებელში მოფუსფუსე მწერებისგან ამომრავებული მატრასი იხილა. ამის გამო სპარსელების დელეგაციას მთელი ტანისამოსის დაწვა მოუხდათ, ამის გარდა თითქმის ყველას თავიც გადაპარსეს.

ყოველივე ამის შემხედვარეს გიჩნდებოდა აზრი, რომ ანტიკურ დროში ხალხი ცდილობდა სასიამოვნო სურნელი ეფრქვია, შუა საუკუნეებში კი - ცუდი სუნი არ ეფრქვიათ.

შუა საუკუნეებში ამას შემდეგი „უკანასკნელი მოდის ძაბილიც“ დაემატა: ქალბატონებმა ჩასთვალეს, რომ მამაკაცს მეტად ბუნებრივი სუნი იტაცებდა და ამიტომ საკუთარი ქალური კრიტიკული გამონაყოფის ბარაქიანად წასმა დაიწყეს ხელებსა და ყურს უკან; შემდეგ მათ ჩათვალეს,

რომ მამაკაცებს ხიბლავთ ფეხმძიმე ქალები და შესაბამისად მშვენიერი ქალბატონებმა კაბის ქვეშ დაიწყეს სპეციალური ყურთბალიშების ტარება, რომელიც იგივე ქალური სითხით იყო გათხიპნილი და რომელიც ფეხმძიმობის იმიტირებას ახდენდა, ატყობინებდა რა ამით პოტენციურ პარტნიორს, რომ რეპროდუქციული უნარი ჯერ კიდევ ჰქონდა. ამას ემატებოდა ის რომ ძალზედ უხვად გამოიყენებოდა ტყვიის თეთრი ფხვნილი და ფქვილი (რა თქმა უნდა მიხვდით, რომ არა პურის გამოსაცხობად) და ახლად შემოსული ტუჩის წითელი საცხი, რომელიც ბუნებრივი ნივთიერებისაგან მიიღებოდა და მეტი წებოვნებისათვის მასში დიდი რაოდენობით ხარის ან ცხენის სპერმას ურევდნენ. ამ ყველაფერს კი სამ მილიმეტრამდე სისქის ფენად ისვამდნენ სახეზე, რომ როგორმე დაემაღლათ დაკენკილ კანზე მაშინდელი პოპულარული დაავადების - ყვავილის კვალი. ამ მხრივ ძალზედ მოხერხებული გამოდგა ბრიტანელი ჰერცოგინია ნიუკასლი, რომელმაც სახეზე დაჩირქებულ ფერისმჭამელზე აბრეშუმის შავი ხალი მიიწება - ასე გაჩნდა შუა საუკუნეებში საშინლად მოდური „ხალი სახეზე“ რამაც კირის და ფქვილის გამოყენების რაოდენობა საგრძნობად შეამცირა.



ნიშანდობლივია ასევე ის ფაქტი, რომ სიტყვა “ტუალეტს” ერთდროულად ორი მნიშვნელობა გააჩნია: საპირფარეშო და ტანსამელი. ასევეა სიტყვა “გარდერობი”, ის ნიშნავს ტანსაცმელსაც და ტანსაცმლის შესანახ კარდასაც. საქმე იმაშია, რომ ევროპის დიდებულ სამეფო სასახლეებში არსებობდა მცირე საპირფარეშოები, ეს იყო პატარა ადგილი, კარდასავით, სადაც ტანსაცმელსაც ინახავდნენ. შესაბამისად, ტანსაცმელს საშინელი სუნი ასდიოდა, თუმცა მას იმიტომ იცვამდნენ, რომ მწერებისგან (მათ შორის ჩრჩილისგანაც) იცავდნენ თავს.

ბევრისმეტყველია ვერსალის შესახებ დაწერილი ციტატა რუსი რომანისტის ა.ნ. ტოლსტოის წიგნიდან “პეტრე პირველი”:

- Представь, душа моя, в сырой вечер не растворишь окна – такое зловоние вокруг дворца, – из кустов и даже балконов... Придворные ютятся в тесноте, спят кое-как, в неряшестве, обливаются духами, чтобы отбить запах нечистого белья...

ისე კი იცოდით, რომ საფრანგეთის დედოფალ მარია-ანტუანეტას სასახლეში საგანგებო მოსამსახურეები ყავდა, რომლებთა მოვალეობაში შედიოდა სასახლის კუთხეებიდან დაგროვილი განავლის აღება.

აქ ერთი საინტერესო ფაქტიც მინდა შემოგთვაზოთ. ყველაზე დიდი მოთხოვნა ევროპაში ჯვაროსნული ომების დროს იყო აზიურ სუნელებზე. ამიტომაც იყო, რომ მე-XV საუკუნიდან აქტიურად დაიწყო საზღვაო სავაჭრო გზის ძიება აზიის მიმართულები, რომელსაც სათავეში ედგა ენრიკე ზღვაოსანი, ვასკო და გამა, თვით განთქმული კოლუმბიც. მიზანი აზიური სუნელების რაც შეიძლება დიდი პარტიების ჩამოტანა. რატომ? იმიტომ, რომ საჭმელში მისი შერევით ის მყრალი სუნი დაემალათ, მაგიდაზე ან მაგიდასთან რომ სუფევდა.

რა თქმა უნდა მორწმუნე ადამიანები, თავის აზრით, ისაქმებდნენ მხოლოდ უფლის დახმარებით — უნგრელ ისტორიკოსს იშტვან რატ-ვეგს წიგნში “წიგნის კომედიებში” მოჰყავს ლოცვები ლოცვების წიგნიდან სახელწოდებით: “ღვთისმშობი და სინანულით აღსავსე სულის თამამი სურვილები ყოველი დღისთვის და სხვადასხვა შემთხვევებისთვის”, რომლთა შორის არის “ლოცვა ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას”.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიგიენა აქტუალურ საჭიროებას წარმოადგენდა, ჯერ კიდევ XVI საუკუნის სამედიცინო ტრაქტატებში მაშინდელი მედიცინის მამები ფრიად სერიოზულად ამტკიცებდნენ: „სახის დაბანვა არავითარ შემთხვევაში საჭირო არ არის, რამეთუ ამან შეიძლება კატარი ანდა მხედველობის გაუარესება გამოიწვიოს“ შედეგად? 1788 წელს ფრანგი

ავორისტიკი მწერალი რეტიფ დე ლა ბრეტონი წერდა: პარიზში თითქმის არავინ არ ზანაოხს, ხოლო ისინი ვინც ამას აკეთებს, ისაზღვრებიან ორ ან სამჯერ მხოლოდ ზაფხულის განმავლობაში. ამიტომაც იყო, რომ ტილი და რწყილი ადამიანთა განუყოფელ ნაწილად გადაიქცა, რომლის წინააღმდეგ პასიური ბრძოლის მეთოდად გამოიყენებოდა საფხანი გრძელი ბოლოში დატოტვილი ჯოხები.

დიდებულები კი თავის რანგის შესაბამისად ებრძოდა მკბენარებს: ლუვრში სამეფო სადილის დროს ლუდოვიკო XIV ემსახურებოდა პაჟი, რომლის მოვალეობა იყო მეფის უკან დგომა და ტილების ჭერა. მდიდარი ქალბატონები მკბენარების საწინააღმდეგოდ აბრეშუმის საცვლებს იცვამენ, რამეთუ აბრეშუმზე ტილები და რწყილები ვერ დაცოცავენ. სწორედ ამ დროსვე ჩნდება წითელი ხისაგან დამზადებული დიდი ბალდახინიანი საწოლები.

რატომ?





იმიტომ, რომ ბალდახინი იცავდა მწოლიარეს ჭერიდან რომ მოფუთფუთე მწერები არ დასცემოდა, ხოლო წითელი ფერის ხის ფონზე კი მწერები არ ჩანდნენ, რაც გულს ცოტათი მაინც აწყნარებდა.

ასევე ითვლება, რომ წითელი ხისგან დამზადებული ავეჯი იმიტომ გახდა ამგვარად პოპულარული, რომ მასზე არ ეტყობოდა გაჭყლეტილი რწყილების კვალი.

უფრო საზრიანი, და რაც მთავარია ღრმად მორწმუნე ესპანელი ქალბატონები, რომელთაც ნათლობის დროინდელი ნაცხის ჩამორეცხვა არ სურდათ, თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე თმაში ნიორისა და ძაღლის შარდის ნაზავს იხელდნენ; რა თქმა უნდა ტილების საწინააღმდეგოდ.

უკვე XVII საუკუნიდან იწყება ქალაქ გრასის ხელთათმანის ამქართა წარმოების გააქტიურება, რომლის თაობაზე პატენტი მათ ჯერ კიდევ 1614 წელს ლუდოვიკო XIII-სგან მიიღეს. ხელთათმანები თხის თხელი დამუშავებული ტყავისგან მზადდებოდა და იგი სხვადასხვა სურნელოვანი არომატით იყო გაჯერებული. (უფრო კარგი და პრაქტიკული იყო თხის ნაზი ნაწლავების გამოყენება ამ მიზნისათვის, მაგრამ მას უფრო სხვა მნიშვნელოვანი ნივთისთვის იყენებდნენ - ევროპაში ძალზედ გავრცელებული სიფილისისგან თავდასაცავად მისგან პირველი პრეზერვატივები მზადდებოდა). იგი ქალბატონებს ასეულობით ჰქონდათ. მისი ტარების მოდა მარია მედიჩს მიეწერება და ამგვარი ხელთათმანით უნდა გესაძლია სუფრაზე, ანუ ხელთათმანი ხელსახოცის ფუნქციას ასრულებს.

უკვე XV საუკუნის დასაწყისიდან იწყება დიდი ქალაქების ქუჩების მოკირწყვლა და იდგმება პირველი მორცხვი ნაბიჯები საზოგადოებრივი ტუალეტების დაარსებისაკენ. ამგვარი სანიტარული ბრძოლის ერთ-ერთი მომენტი ასახულია 1425 წლის საღვთო იმპერიის ქალაქ მაგდებურგის საქალაქო ქრონიკაში: „ამ წელს, თანახმად ქალაქის კეთილმოწყობის საბჭოს გადაწყვეტილებისა, დიდი ქვის ხიდის ახლოს აშენებულ იქნა საერთო ტუალეტი. მისი მთელი სიბინძურე იყრებოდა პირდაპირ მდინარეში, რამაც ხიდთან ახლოს მდინარის ძლიერი დაბინძურება გამოიწვია“. ამას შედეგად მოჰყვა ახალი დადგენილება, რომლის თანახმად ქალაქში სავაჭროდ ჩამოსულ თითოეულ გლეხს, უკანა გზაზე თავისი ურემი უნდა დაეტვირთა ქალაქში გორებად დაგროვილი განავლით და ქალაქიდან გაეტანა. ამ ზომებით ვარაუდობდნენ რომ ქუჩები ცოტათი მაინც გაიწმინდებოდა განავლის ძველი ზვინებისაგან. ამგვარ ცდებს დადებითი შედეგი არ მოჰყოლია და თვით პარიზის მერიც კი 1697 წლის მოხსენებაში გულმოდგინებით ჩივის, რომ მოსახლეები ისევ განაგრძობენ სიბინძურის

გადმოსხმას ფანჯრიდან პირდაპირ შუა ქუჩაში. ინფორმაციისათვის! კანალიზაცია პარიზში XIX საუკუნის II ნახევრიდან ჩნდება.

ტულაეტის ქალაქი ხმარებაში შემოვიდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს. აქამდე მდიდარ ადამიანები აძლევდნენ თავს უფლებას “გამოეწმინდათ” ქსოვილის ნაჭერით, ხოლო ღარიბები ამას ფოთლებით ანდა გამხმარი ფუჩკით აკეთებდნენ. საინტერესოა, რომ ძველ რომში ამისათვის არსებობდა სპეციალური ჯოხი, რომელზედაც დახვეული იყო ნაჭერი. მისი პირდაპირი დანიშნულებით ხმარების შემდეგ, მას ჩადებდნენ წყლიან სათლში და ის ელოდებოდა შემდგომ მორიგ “კლიენტს”.

სამწუხარო იყო ის, რომ ანტიჰიგიენურ რელიგიურ ფანატიზმს სამედიცინო უცოდინარობაც ემატებოდა; „წყლის აბაზანები სხეულს ათბობს, მაგრამ ორგანიზმს ასუსტებს და კანის ფორებს აფართოებს. ამიტომ ამან შეიძლება გამოიწვიოს დაავადება და თვით სიკვდილიც კი“- ამტკიცებდა XV საუკუნის მკაცრი სამედიცინო სამედიცინო ტრაქტატი, რამეთუ შუა საუკუნეებში ეგონათ, რომ გაფართოებულ კანის ფორებში დაბინძურებულ ჰაერიდან სხეულში ინფექცია შეიჭრებოდა. აი ამიტომაც, მალე უმაღლესი სამეფო დეკრეტებით აიკრძალა ჯერ კიდევ შემორჩენილი მცირე რაოდენობის საზოგადოებრივი აბანოებიც. თუ XV-XVI საუკუნეებში მდიდარი მოქალაქეები წელწადში ორჯერ მაინც ბანაობდნენ, XVII-XVIII საუკუნეებში მათ საერთოდ შეწყვიტეს ბანაობა. მართალია ხანდახან ბანაობას მორიდებით მაინც მიმართავდნენ, მაგრამ მხოლოდ სამედიცინო მიზნებისათვის. ამ პროცედურისათვის ავადმყოფები საგულდაგულოდ ემზადებოდნენ და წინასწარ ორი დღის განმავლობაში ოყენებს იკეთებდნენ და მკაცრადაც მარხულობდნენ.

ჰიგიენის უგულვებელყოფა ძალიან ძვირი დაუჯდა ევროპას: XIV საუკუნეში “შავი ჭირისგან” საფრანგეთის მესამედი მოსახლეობა გარდაიცვალა, ინგლისისა და იტალიის მოსახლეობა კი განახევრდა. მიჩნეულია, რომ ჭირის გამავრცელებლები იყვნენ ვირთხები, რომლებიც ძალიან იყვნენ მომრავლებულები, რადგან ქრისტიანებმა ამოწყვიტეს კატები, მიიჩნიეს რა ისინი ეშმაკის მსახურებად. ამ პერიოდში სპონტა- ნურად გაჩენილი საქმიანობა – ვირთხების მჭერიც, ასევე იდევნებოდა კათოლიკური ეკლესიის მხრიდან და ამ საცოდავებს ინკვიზიცია ხშირად სჯიდა, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ამ ადამიანების ძალაუფლება ვირთხებზე ეშმაკისგან ბოძებული იყო.

ჯვაროსნულ ომების შედეგად მიზანთროპულმა აღმოსავლეთმა გაგულისებული ევროპა ლიმონთან, შაქართან და ჭადრაკთან ერთად სამწუხარო სიურპრიზითაც დააჯილდოვა - მოსახლეობაში ფართოდ ვრცელდება

სიფილისი, რომელმაც XVII-XVIII საუკუნეებში შესაბამისი მოდაც დაამკვიდრა; სიფილისის გამო ხალხს დაეწყოთ თმის მასიური ცვენა, და აი გალანტურმა კავალრებმა, რომ დაენახებინათ ქალბატონებისათვის, რომ ისინი ჯანმრთელნი არიან, დაიწყეს თმა-წვერის უზომო გაზრდა, ხოლო ქალბატონებმა კი ძალზედ ღრმა და ფართო დეკოლტე შემოიტანეს ტუალეტში, რათა პოტენციურ სექსუალური პარტნიორებისათვის თავიანთ მხრების და მკერდ-ბეჭების კანი ეჩვენებინათ, რომ იგი სიფილური მუწუკებით არ იყო დაფარული. მაგრამ ვისაც უკვე ჰქონდა, სამწუხაროდ?

ეს რა პრობლემა იყო?

დაავადებულებმა სიფილისით გამელოტებულ თავზე პარიკები დაიმხეს.

უკვე XIX საუკუნიდან იწყება პირადი ჰიგიენის პროპაგანდა. მაგრამ ხალხი იმდენად იყო გადაჩვეული მას, რომ XIX საუკუნის ბოლოს ცნობილი გერმანელი ექიმი ფ. ბილცი თავის პოპულარულ სამედიცინო წიგნში „ახალი ბუნებრივი მკურნალობა“, გულის შემადონებელად და დაუმთავრებლად უმტკიცებდა ხალხს სხეულისთვის ბანაობის სიკეთეზე: „არიან ხალხი, რომლებიც, სიმართლე რომ ვთქვათ, ვერ ბედავენ მდინარეში ან ვარცლში ბანაობას, რამეთუ ბავშვობიდანვე არასოდეს არ უბანავიათ. ბანაობის შიში უსაფუძვლოა, მეხუთე ან მეექვსე აბაზანის მიღების შემდეგ ამას შეიძლება შეეჩვიოთ კიდევ...“

სწორედ ამ შეჩვევისათვის XIX საუკუნის ბოლოს სარეკლამო ინდუსტრიამ უბრალო დასაბანი საპონი შეადარა თავის მნიშვნელობით თავლს, მზის სხივებსა თუ თოვლს, გააჩნია ევროპის რომელ რეგიონში ცხოვრობდი და თანაც სასაპნო შესაფუთ ქაღალდზე ხელოვნების შედეგთა გამოსახულებები იბეჭდებოდა, რამაც საპონს ცივილიზებულ საზოგადოებაში ფართო გზა გაუხსნა. 1894 წელს საპონის რეკლამა ახალი ზელანდიის საფოსტო მარკაზეც კი გაჩნდა.

არადა, ხომ შეიძლებოდა 1347-1350 წლებში მძინვარე „შავი ჭირის“ მიერ ევროპის კონტინენტზე მოსახლეობის 1/4 მოსახლეობის გადარჩენა?

## გურჯი ხათუნები

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მწიგნობრობის მკაცრი სუსხი მარტო ქართველ მამაკაცებს არ შეხებია - შინაური თუ გარეული მტრის ხარბი სულით გასაცოდავებულ სამშობლოდან მიჰყავდათ ქართველი ქალიც; XVI-XVII სისხლიან საუკუნეებში გურჯი-ხათუნი

მისტიური აღმოსავლურ-მუსლიმური აჭრელებული ზღაპრული თუ ღვთაებრივი ჰარემის აუცილებელი და სავალდებულო წევრიც კი გახდა. თურქეთის ღვთაებრივი ალაჰის სადარ სულთნის დიდებულ მარმარილოს თეთრ სასახლეში არსებობდა ძალზე ძველი დაუწერელი ტრადიცია: ტახტის მემკვიდრის დედა ამაყი ქართველი, ემმაკვივით მოხერხებული ბერძენი ან თავზუხელაღებული ყაჩაღანა ჩერქეზი უნდა ყოფილიყო.

და მაინც მუსლიმურ სამყაროს პოლიტიკურ ცენტრში ქართველმა ქალებმა ისტორიისათვის საოცარი და გამაოგნებელი პატრიოტიზმის საოცარი გრძნობა შეინარჩუნეს: დიადი სულთნის დახურული ჰარემი მრავალი ეროვნებით ქუჩაგადაჭედილ ხმაურიან ისტამბულში აშკარად თუ შეფარვით მფარველობდა შერისხულ ქართველ პოლიტიკოსებს, მაგალითად დაუღალავ ლუარსაბ I-ს, ან მის დაუდგარ ძეს, მუდამ თრიაქით გაქდნთილ სიმონ I-ს; ქართული სამეფო კარისათვის თავგამო- დებული ირანისა თუ გადიდკაცებული ოსმალეთის თითქმის ყველა სახელმწიფო საიდუმლო იყო ცნობილი; განსაკუთრებით იყენებდა ისტამბულის ჩახუთულ ჰარემის ტიტებით მოხატულ კედლებში ჩაკეტილ ქართველ ქალთა ინფორმაციას ერეკლე II, უფრო მეტად რუსეთის საიმპერატორო კარის თხოვნით.

შეუდარებელ ქართველ ქალთა გავლენა მუსლიმურ სამყაროში კიდევ უფრო დიდი იქნებოდა თუ არა ღვთაებრივი და ალაჰისაგან კურთხეული ყურანი, რომლის მიხედვით ქალი არ ითვლება სრულყოფილ არსებად.

მთელს ახლო აღმოსავლეთს კალიასავით მოდებული ევროპელი თეატინელი თუ ფრანცისკანელი კათოლიკე მისიონერების წყალობით ქართველი ქალის ტრაგიკული ბედის ისტორია უცხოეთში მეტნაკლებად იყო ცნობილია;

აი, ზოგიერთი მათგანი:

...ყვითელი კირქვის ობელისკებით გამოჭედილი ზემო ეგვიპტის მრისხანე მბრძანებელი იყო მუდამ წარბ შეკრული და გულჩახვეული ჰასან-ბეი. არც თვითონ და არც სხვამ არავინ იცოდა, საიდან იყო იგი; ჩერქეზს ემახდნენ, რადგან მამობილი ჰყავდა ჩერქეზი; „გაუცინარი ბეიც“ ერქვა გულჩახვეულობის გამო. ფარაონთა ღვთიურ ქალაქ, დიდებულ თებეში ჰქონდა სიმდიდრით გადავსებული სრა-სასახლე.

ერთ დღეს ფაიუმის გადატრუსულ უდაბნოში ყაჩაღ ლიბიელთა მოთარეშე რაზმის წინააღმდეგ ლაშქრობიდან გამარჯვებული და გახარებული ბრუნდებოდა იგი დიდძალი ნადავლით. უცებ მტვრიანი და მზით გადახრუკული თებეს მთავარ შესასვლელთან გაშენებულ ჭრელი ბაზრის გადაყვითლებულ აგურით ნაშენ, ნივრის სუნად აქოთებულ

ქარვასლიდან სევდიანი სიმღერა შემოესმა. განრისხდა ბეი, მამლუქთა გავლისას ყველა პირქვე მდუმარედ უნდა დამხობილიყო გახურებულ ქვიშიან მიწაზე; აქ კი ვილაცა მღეროდა სევდიანად.

გაუფრთხილებლად შეანგრიეს გაოფლიანებულ არაბულ ცხენებზე ამხედრებულმა მრისხანე მამლუქებმა ქარვასლის ლიბანური კედრის ხისაგან გამოთლილი დიდი და მძიმე კარი. ეზოში კვიპროსიდან ჩამოტანილ თეთრ მარმარილოს აუზთან ახალგაზრდა, გამხდარი ქალი იდგა უჩადროდ და ის მღეროდა.

რალაც შეინძრა სევდიანი სიმღერის ჰანგის გაგონებისთანავე უდაბნოს მზით გამომშრალ ჰასან-ჩერქეზის დახურულ და ბნელი დარდებით გადატენილ უძირო სულში. ცხენიანად მიუახლოვდა იგი ქალს; ხორბლისფერი სახე უმოწყალოდ ჰქონდა დანით დასერილი მომღერალს, მაგრამ მაინც ეტყობოდა სახეზე არნახული სილამაზის კვალი.

- ვინ დასაჯა? - მრისხანედ იკითხა ყველას გასაგონად ჰასანმა.

ფორთხვით მიცოცდა შიშით გალურჯებული ფუნდუკის მეპატრონე „ქვეყნიერების მბრძანებელთან“ და აკანკალებულმა, ისე, რომ თავი ზევით არც აუწევია, თქმა გაუბედა:

- თვითონ დაისახიჩრა თავი, რომ არავინ მხევლად არ იყიდოს; წყალში ჩამეყარა მაგაში გადახდილი დიდი ხნის ნაგროვი ფული; ამიტომ ფუნდუკში დავაყენე, ემსახუროს სტუმრებს, სანამ ზარალი არ დამიბრუნდება.

-ვის სიმღერებს მღეროდი? - ახლა ტყვეს მიუბრუნდა ჰასანი.

- გურჯი ვარო, - თავი გადააქნია უხალისოდ ქალმა.

-გურჯების სიტყვები ცოტა მეც მესმის, ეგრეთი სიტყვები კი, მათ არა აქვთ, - გაბრაზებული შეეპასუხა ჰასან -ჩერქეზი,

-საიდანაც მე ვარ, იმ მხარეში ორნაირად ვლაპარაკობთ, ორივე გურჯების ენაა.

- მერე რა ჰქვია შენ მხარეს?

ქალს თვალები გაუნათლდა:

- თურქო, მერე შენ რას გაიგებ, თუ გეტყვი ილორის ხატის ყმა ვარ-მეთქი.

ილორიო, - რალაცა გაკრთა ჰასან-ჩერქეზის გულში...

- რა გქვია? - ახლა უკვე რბილად იკითხა ჰასანმა.

- ცირა - მამაკაცის კითხვაში სითბო იგრძნო ქალმა.

ცირაო? - მესამეჯერ გადაუქანდა გული მამლუქს.

- თქვენს მხარეში ნენე თუ ჰქვიათ ქალებს? - ხმაში კანკალი დაეტყო კაცს.

– ნენე დედას ნიშნავს ჩვენებურად.

ოფლმა გამოჟონა ჰასან-ჩერქეზის შუბლზე.

– თუ შეგიძლია ისეთი სიმღერა იმღერე, ნენე რომ უმღერის ბავშვებს.

...და ქალი ამღერდა... დაირხა საოცარი, სევდიანი, თბილი და ტკბილი მელოდია, თიხით მოკირწყლულ გახრიოკებულ თებებს ქუჩებს გაჰყვავა, დიდებულ და ამაყად მდგომ ისიდას ძველ ტაძარს ჩაუარა, რამზესის ყვითელ ბარელიეფზე გასხლტა და... „ზემო ეგვიპტის ღვთაებრივი მბრძანებელი“ ოქროთი შემკულ უნაგირიდან უგრძნობი გადმოვარდა...

გათვალაო ეშმაკისეულმა ჯადოქარმა! - ხმლით აკუწეს არაბებმა ქალი. ანდა შემდეგი ამბავი:

ერთხელ, პირისხელიან XVII საუკუნეში დიდი მოგოლის ბრწყინვალე იმპერატორს საჩუქრად მიართვეს 14 წლის ქართველი ასული სამეგრელოდან. ზვიადმა შაჰ-ჯაჰანმა იგი საყვარელ უფროს ვაჟს - დარას დაუთმო.

გაიზარდა გოგონა და სავსე მზეს დაემსგავსა. უდიპური უწოდეს. გაგიჟებით შეუყვარდა დარას ცოლთა უპირველესი და ულამაზესი. მისი ხათრით საიდუმლოდ შეუდარებელი ღვთის სწორი მაჰმადი უარყო და ქრისტიანობა მიიღო... მაგრამ ამ დროს აირია მოგოლთა დიდი და ბრწყინვალე იმპერია: შაჰ-ჯაჰანის ოთხი ვაჟი ერთმანეთს უმოწყალოდ დაერია. ქიშპობის საგანი კი... უდიპური იყო. იმარჯვა მესამე ძმამ - აურანგზებმა და სიამოვნებით ამოხოცა თავისიანები. მხოლოდ უდიპური დაინარჩუნა. მასაც აუზნია თავგზა თვალჯადოქარმა ქართველმა ქალმა: ქრისტიანობა მიიღო ჯიუტმა სულთანმა და მალულად პირჯვარსაც კი იწერდა. და მაინც ყველა და ყველაფერი ეჯავრებოდა უდიპურს... მხოლოდ ერთადერთი რამ უხაროდა: ის, ღმერთის სადარ მოგოლისტანის დიდი სულთნის ამაღის ქართველ მამლუქებს მშობლიურ ენაზე რომ ელაპარაკებოდა.

იმის გამო, რომ მის ჰარემს შეიარაღებული და გაუთხოვრობაზე ფიცდადებული ყაზანელი გაყვითლებულ თათარ ქალების დაუნდობელი ჯარი იცავდა, ქართველებთან თითოეულ შეხვედრაზე ქრთამად უდიპური 1000 ოქროს დირჰამს ხარჯავდა მოუსყიდავ და კაცის უნახავ გაველურებულ მცველებთან. სხვაგვარად მონათლეს მისი ამგვარი პაემნები სასახლის კარზე - ეგონათ, კუროებს იღებსო. ერთმა ქურთმა სარდალმა მოისყიდა თათარივე მცველები; მამლუქის ტანსაცმლიანი უცხო მამაკაცი შეუშვეს ქალთან სადამოს პირას. გაუცინა მზის სადარმა უდიპურმა უცნობს, ქართულად დაელაპარაკა.

- მოგოლი ვარ, - ურდუს ენაზე უპასუხა კაცმა, - შენზე სიყვარულით გადარეული.

- ეს მე მაკადრესო? - სისხლი მოაწვა დედოფალს... უიღბლოდ გამიჯნურებული სარდალი და მცველები დედაწულიანად ამოახოცინა აურანგზებს ქალმა... სამშობლოს სევდის გაქარვება სურდა უბედურ ქალს; აბა, რა უნდა შეეთავაზებინა მისთვის ვიღაც გადამთიელს?

იყო ასეც:

ირანის ლომად წოდებულ შაჰ-აბას I-ს ჩაილურელი კახელი გლეხის გოგო აჩუქეს. ოქრომკედით ნაკერ ატლასებში გამოაწყვეს იგი. ტიროდა მაინც გოგო... სადამოხანს მასთან აღტაცებული თვალების ცეცებით შემოვიდა ნაადრევად დაბერებული შაჰი;

- ვაი, შენ, ჩემო ჩაილურის ჩალაო, - წამოიყვირა გოგომ.

გაცოფდა ამაზე შაჰ-აბასი:

- მსოფლიოს მბრძანებლის ცოლი ხდები, ჩაილურის ჩალას როგორ მისტირო?

კახელი იყო გოგო, ამიტომ კახურადვე მიახალა:

- მიმიფურთხებია შენი სამეფოსთვისო.

ავაზასავით მოქნილი და ძლიერიც იყო გოგო - მთელი სიშმაგით ჩაარტყა წიხლი „მსოფლიოს მბრძანებელს“ მუცელში... მახვილებზე წამოაგეს 13 წლის ბავშვი „ალაჰის სწორის“ შეურაცხყოფისათვის.

...საშიშიც იყო გურჯი - ხათუნის გაჯავრება: შაჰ-აბას I-მა ეჭვის ნიადაგზე მოაკვლევინა საკუთარი შვილი - ქართველი ქალის, ლელა ბაგრატონის ნაშობი. სახე დაუმახინჯა ხანჯლით გაშმაგებულმა დედამ შაჰს, ახრჩობდა კიდევ, რომ არ მოეკლათ შემოსწრებულ მცველებს „დელი გურჯი,, ...ამიტომაც ადარებდნენ აღმოსავლელი პოეტები თავიანთ პოემებში, ღაზალებსა და რობაიებში ქართველ ქალებს ჯიქს, ვეფხვს... და ძალზე ხშირად ამ ჯიქებს თუ ვეფხვებს მხოლოდ სიკვდილის სუნი უდიოდათ, საუბედუროდ.



